საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
განვითარების კონცეფცია

შესავალი:

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში მედიის უმთავრესი ამოცანაა საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბება (აზრის ფორმირება). ამ პროცესში საზოგადოებრივი მაუწყებელი ნებისმიერი განვითარებული ან განვითარებადი ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ორიენტირი საზოგადოების განათლების დონისა და ინფორმაციულობის ამაღლებაა.

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციაში ჩადებულია მექანიზმი, რომელიც სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს" (შემდგომში ,,მაუწყებელი") სრულად აძლევს იმის საშუალებას, რომ იყოს ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი რგოლი ძირითადი ამოცანების შესრულებაში.

მიზანი:

მაუწყებელს კანონი ავალდებულებს, მიზნად გაიხადოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადასცეს პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებს.

ამოცანები:

საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების ჩარჩოში უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა/სტრატეგია, თუ რა თემები წარმოადგენს პრიორიტეტს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საზოგადოების დემოკრატიულად და ჰუმანურად განვითარებისათვის. მაუწყებელმა პერიოდულად უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ კანონიდან გამომდინარე სტრატეგიისა და პრიორიტეტის მიღება/ცვლილება, არამედ შექმნას მექანიზმი, რომლითაც განახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს.

მაუწყებელი პერიოდულად უნდა ახორციელებდეს კანონით განსაზღვრული და მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული (განვრცობილი) პრიორიტეტების კონტროლს არა მარტო საკუთარი ადამიანური რესურსით, არამედ მესამე პირის (დამოუკიდებელი არბიტრების) გამოყენების საშუალებით.

მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო ვალდებულია შექმნას ისეთი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები (და განსაკუთრებით საინფორმაციო პოლიტიკის მიმართულებით), რომელზედაც შესამჩნევი გავლენა არ ექნება არა მარტო მესამე პირებს, არამედ მაუწყებლის ხელმძღვანელ რგოლებში კანონით განსაზღვრულ ცვლილებებსაც კი. უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც პერიოდულად განახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მდგრადობის ანალიზს და მათი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას. მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება გახდეს მათ საქმიანობაში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი.

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარ ბადეში ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების უფლებადამცველი (და არა პროპაგანდისტული) კონტენტის მქონე გადაცემების განთავსება.

მიმდინარე პრობლემები:

მაუწყებლის წინაშე უამრავი პროლემა არსებობს, რომელთა მოგვარება უახლოეს მომავალში პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ამ პრობლემების აღმოფხვრის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებად შეიძლება შეფასდეს.

მიმდინარე პრობლემების ჩამონათვალში უდავოდ იკავებს პირველ ადგილს მაუწყებლისთვის შესაბამისი შენობა-ნაგებობის არ არსებობა, რაც განაპირობებს სხვა პრობლემებში თავის არსებით წვლილს.

მომდევნო რიგის პრობლემებად შეიძლება დასახელდეს მაუწყებლის განვითარების სტატეგიის არ არსებობა, მისი სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების არ არსებობა, ტექნიკური რესურსის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან და ა.შ.

მიმდინარე პრობლემად, ასევე, შეიძლება დასახელდეს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს განთავსების ადგილი, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ე.წ. სუბორდინაციის დაცვას.

დასკვნა:

კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი ფუნქციის ფარგლებში, მზად ვარ, ხელი შევუწყო მაუწყებელს მიმდინარე პრობლემების დაძლევის გზაზე განსაზღვრული (შეთანხმებული) მიზნების მიღწევაში.

პატივისცემით,

გია ქარცივაძე

26 სექტემბერი 2019 წელი